# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 4

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

„28" დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო", (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის **ბაგრატ მანველიძის** სახით და მეორეს მხრივ საქართველოს მსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი უფროსის **კარლო ურუშაძის** სახით, გამარტივებული შესყიდვის შედეგად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი
1.7. "დაცვა" – „მიმწოდებლის" თანამშრომელი

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შესაბამისი გამოკვლევის აქტების საფუძველზე, უზრუნველყოს ქ. ბათუმში, გუდიაშვილის ქ. №4-ში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფისის (შემდგომში „ობიექტად" წოდებული) საპოლიციო ძალებით დაცვის განხორციელებას (სამსახურებრივი-საშტატო იარაღის) გამოყენებით, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას (კოდი –CPV 79713000) (SMP180002908).

### 3. დაცვის თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის სამუშაო რეჟიმი

3.1. ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ობიექტის დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს ბათუმის დაცვის პოლიციის სამსახური, პოლიციის 1 (ერთი) უფროსი ინსპექტორისა და 6 (ექვსი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით.
3.2. ობიექტის დაცვა განხორციელდება ყოველდღიურად, დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში, ცვლაში არანაკლებ 2 (ორი) პოლიციელის მეშვეობით.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 62400 (სამოცდაორი ათას ოთხასი) ლარი.
4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 5. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

5.1. მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.
5.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქალაქი ბათუმი, გუდიაშვილის ქ.№4.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველის უფლება-მოვალეობებია:

6.1.1. შეუქმნას დაცვას სამუშაო პირობები.

6.1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ დროში აანაზღაუროს დაცვის მომსახურების თანხები.

6.1.3. განახორციელოს ობიექტის პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება. დაცვასთან ერთად იზრუნოს ობიექტის დაცვის სრულყოფისათვის.

6.1.4. დაცვას 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს ობიექტზე მოსალოდნელი ყველა ის ცვლილებები, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: (ობიექტის დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო–სარემონტო მუშაობის წარმოება და ა.შ.).

6.1.5. ობიექტის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში არ შევიდეს მასში დაცვის თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა.

6.1.6. დაცვის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და ნებისმიერი სამსახურეობრივი ან დისციპლინარული გადაცდომის (მათ შორის სამსახურში დაგვიანება, არასაპატიო მიზეზით გაცდენა და სხვა) შესახებ წერილობით აცნობოს დაცვას.

6.1.7. გააცნოს დაცვის მუშაკებს დასაცავ ობიექტზე არსებული ტექნიკური უსაფრთხოების წესები.

6.1.8. შემსყიდველს ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულების 2.1. პუნქტით.

6.1.9. ობიექტის დაცვაზე მიღება–ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი.

6.1.10. რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დაცვას.

6.2. დაცვა ვალდებულია:

6.2.1. არ გაამჟღავნოს შემსყიდველის სამსახურეობრივი საიდუმლოება.

6.2.2. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებულ ობიექტში საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა.

6.2.3. „პოლიციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

6.3. დაცვა პასუხისმგებლობას კისრულობს:

6.3.1. დაცვის თანამშრომლების მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რის გამოც გამოწვეული იქნა ზარალი.

6.3.2. ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს შემსყიდველის საბუღალტრო დოკუმენტაციას.

6.3.3. შემსყიდველისათვის ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას დაცვა მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.3.4. ობიექტზე აღმოჩენილი ზარალის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს შს. შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.

4.4. ,,დაცვა" პასუხისმგებლობას არ კისრულობს, თუ:

4.4.1. თუ შემსყიდველმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ობიექტის პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები.

4.4.2. თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ ობიექტში.

4.4.3. მატერიალური ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია შემსყიდველის მიერ ობიექტის დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

7.1. ყოველთვიური დაცვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 5200 (ხუთიათასორასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით (მათ შორის ერთი უფროსი ინსპექტორი-1000 (ათასი) ლარი, ხოლო ერთი უმცროსი ინსპექტორი-700 (შვიდასი) ლარი).

7.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

7,3.ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად მომსახურების დღეების ოდენობის მიხედვით.

7.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

8.4. 8.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს ხელშეკრულებით ნაკისრი მომსახურება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულების 10.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
10.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 10.1 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

## 12. სხვა პირობები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
12.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ

მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

12.5. ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ორი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო
საქართველო, ქ. ბათუმი, გუდიაშვილის ქ.№4
ს/კ 245427667
სს ,,ლიბერთი ბანკი"
მფო LBTRGE22
ა/ა GE88 LB01 2116 2303 5870 00

**მიმწოდებელი:**

საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული
პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის
დაცვის პოლიციის სამმართველო
მის: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.№11
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი _ TRESGE22
სახაზინო კოდი 707117043
ს/კ 211 350 928

მინისტრის პირველი მოადგილე

ბაგრატ მანველიძე

სამმართველოს უფროსი

კარლო ურუშაძე